წელიწადი I-ლი · სამშაბათი 18 იანვარი · ფასი 30 მან.

# ბათუმის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად ... 500 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტის სტრიქონი ... 50 მან.
4 " " " ... 45 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.
ხელმოუწერელ წერილებს რედაქცია არ მიიღებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იქონიებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთად.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინის პროსპ. საბა-შვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

№ 12 · ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო · № 12

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო"
ნ. დ. [illegible]-სხირტლაძის

დღეს სურათი ულამაზესი კრავჩენკოს და ჰოლონსკის მონაწილეობით მუსიკა ვერტინსკისა.

**ს ა ღ ა მ ო ბ ა ტ ო ნ ი ს ა**

ნომერი: კვირიდან 17 იანვრიდან გრანდიოზული ახალი საინტერესო პროგრამმა.
კინო პიესა 4 აქტათ პროლოგით
დასასრულ ა რ ე უ ლ ი ა დ რ ე ს ე ბ ი. კომიკური.

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი"
თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდრო და თბილი.
ორშაბათიდან 17 იანვრიდან გრანდიოზული სურათები

**მათ მეგობრობაში ზღვა შხამია.**

დრამა 5 ნაწილათ.
დასასრულ **ჟ უ რ ნ ა ლ ი ო მ ი ს ა**

## განცხადება.

ბათუმის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მან მოიმარაგა რა საჭირო მასალები ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში ქვა ფენილების შესაკეთებლათ საჭიროება მოხდება, რომელსაც შეიძლება ეკნება აიღოს მთელი სამუშევარი, რისთვისაც ნიშნავს ფარულ შეჯიბრებას დღეს 7 იანვარს, დილის 12 საათზე და იმ დღეს მსურველნი, სამუშევარის აღების, უნდა გამოცხადდენ ქალაქის გამგეობის სალიმენებლო განყოფილებაში ფარულ შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებათ. ყოველ გვარ ცნობების მიღება დასახელებულ საშუშევარის შესახებ შეიძლება გამგეობის სალიმენებლო განყოფილებაში ყოველ დღიურად, შეჯიბრების დღემდე, დილის 9 საათიდან შუა დღის 3 საათამდე.

ქალაქის გამგეობა.

## განცხადება

მუშათა მაგიდის მიერ დაწესებულ წესების თანახმად მაგიდის დეპუტატს დასაფარავათ ფული უნდა შემოიტანონ დამქირავებლებმა ის დამქირავებლები რომელიც აიყვანენ მუშას და მოსამსახურეს შეიტანს მაგიდაში ხსენებული ფული—ჩემ მიერ იქნება

**მიცემული პასუხის გებაში**

ვინაიდგან კავშირთა საბჭოს, გამგეობებს და პროფესიონალურ ორგანიზაციებს წევრებს აქვთ შრომის კომისარიატს ყოველივე შეთხვევა დამქირავებელთა მიერ მაგიდის წესების დარღვევისა.

20 · შრომის კომისარი ა. ჩულაძე.

## განცხადება

ბათუმის ქალაქი გამგეობა ამით აცხადებს,

რომ თანახმად ქალაქის საბჭოს 13 იანვრის არაჩვეულებრივი სხდომის დადგენილებისა მიმდინარე წლის 14 იანვრიდან ქალაქ ბათუმში დაწესებულია

შემდეგი ნიხრი ხორცეულობაზე:

| | | |
|---|---|---|
| ძროხის ხორცი გირვანქა | 150 | მან. |
| " ფუთი | 5000 | " |
| ღორის ხორცი გირვანქა | 200 | " |
| " ფუთი | 8000 | " |
| ცხვრის ხორცი გირვანქა | 200 | " |
| " ფუთი | 8000 | " |
| კამეჩის ხორცი გირვანქა | 150 | " |
| " ფუთი | 4000 | " |
| ძროხის ქონი გირვანქა | 400 | " |
| ღორის ქონი და ცხვრის გირვანქა | 500 | " |

ვინც ამ ნიხრს დაარღვევს, ის მიეცემა პასუხის გებაში.

3—1 · ბათუმის ქალაქის გამგეობა.

## ბათუმის მუშათა მაგიდა

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებების სპეციალისტებით, ვინც დამქირავებს მაგიდიდგან რაიმეს, წარმოადგინონ ახალი სიები ძველი სიების მაგიერათ არა უგვიანეს 20 ამა იანვრისა, სია უნდა იყოს შემდგარი ალფავიტური წესით, რომელიც დაწესებულებაც არ მოიყვანს სიებში და განცხადებას, მათ 20 ამა იანვრის რიცხვიდან შეუწყვეტენ სურსათს.

მუშათა მაგიდა.

## შ მ ა ე ვ ს კ ი ს თ ე ა ტ რ ი.

| სახა ლხო წარმოდგ მმართველი წრე |

№ 20

ოთხშაბათს, 19 იანვარს.

ბენეფისი **მ ა რ ო მ დ ი ვ ა ნ ი ს ა** ოცი წლის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავათ.

წარმოდგენილი იქნება

დამსახურებული მსახიობის **გ. გუნიას** და **ნატ. ჯაბაძიშვილის** მონაწილეობით. სახელმწიფო თეატრის რეპერტუარიდან პიესა ჯარის ცხოვრებიდან

**ა ლ ლ უ მ ი**

4 მოქ. ვ. გუნიასი—ავტორის მინანსცენებით.
მონაწილეობს მთელი დასი და გვარდია მუსიკით.
რეჟისორი **ივ. ბარბელი.**

ადგილების ფასები საბენეფისოა და იყიდება მხოლოთ თეატრის კასაში.
დასაწყისი სრულ 8 საათზე

## გ ა ც ხ ა დ ე ბ ა

18 იანვარს, 1921 სამშაბათს, საღამოს 5 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში მოწვეულია არა ჩვეულებრივი სიაც. დემ. მ. პარტიის მესამე რაიონის წევრთა

## საზოგადო კრება

დღის წესრიგი: მოხსენება მომენტზედ კ. ქავთარაძისა, კოლექტივის მოხსენება, ჯარის მდგომარეობა, არჩევნები კოლექტივის წევრების და სარევიზიო კომისიის, პარტიული კლუბის შესახებ მიმდინარე კითხვები.

კოლექტივი სთხოვს ყველა წევრებს აუცილებლად დაესწრონ

კოლექტივი

## ყველა ბინის დამქირავებელთ და სახლის პატრონებს

გავეცანით რა იმ მასალებს, რომლებიც შეგროვილ იქნა ახლად დასრულებულ ბინების აღწერის შემდეგ ქალ. ბათუმში და მის მიდამოებში (ПРИГОРОДОВЪ), ქალაქის გამგეობამ დაინახა, რომ მრავალ შემთხვევაში ნაჩვენები მცხოვრებთა რაოდენობა ბინებში სინამდვილესთან დაშორებულია მცხოვრებთა რიცხვში ნაჩვენებია გარდა იმ პირთა რომლებიც ეხლა ცხოვრობენ, აგრეთვე ისინიც, ვინც წინეთ ცხოვრობდა და დღეს კი ბათუმიდგან გასულია ვიღებთ რა მხედველობაში რომ ასეთი ცნობები მოწოდებულია გაუგებრობით, ქალაქის გამგეობა წინადადებას აძლევს ყველა იმ პირთ, რომლებმაც მიაწოდეს ყალბი ცნობები 20 იანვრამდე ამა წლისა გამოცხადდენ ქალაქის გამგეობაში (სტატისტიკური განყოფილებაში) და გაასწორონ დაშვებული შეცდომები.

იმ შემთხვევაში თუ შეცდომები აღმოჩენილ იქნა აღნიშნულ რიცხვს შემდეგ ქალაქის გამგეობა შეამდგომლობს აღძრავს მთავრობის საგანგებო რწმუნებულის წინაშე, რათა გაძევებულ იქნას ბათუმის და მისი ოლქიდან ყველა ის პირნი, რომლებმაც მოგვაწოდეს ყალბი ცნობები

ქალაქის გამგეობა

3—1

**გ ე მ ი**
**ფრანც-იოსიფ კირალი**
მოვიდა ორშაბათს და გავა სამშაბათს 18 იანვარს.

გაივლის ნავთსადგურებს: ტრაპეზუნდს, კონსტანტინეპ., მესსინას და ნეაპოლს.
**მიიღებს მგზავრებს 1, 2, 3 კლას. და ბარგს**
ცნობების მიღება შეიძლება ლლოიდ ტრიესტინოს სააგენტოში

## ბათუმი, 18 იანვარი.

მრავალ მეტყველი და გამაფრთხილებელია ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენ მოსაზღვრე სომხეთში დამყარდა. საკმარისი იყო ოსმალეთის ჯარის უმნიშვნელო შეტევა, რომ სომხეთს ქემალის წინაშე ქედი მოეგრიხა და მასთან სამშვიდობო მოლაპარაკება დაეწყო. მძიმე და დამამცირებელია საზავო ხელშეკრულება, რომელიც დამარცხებულ სომხეთს და გამარჯვებულ ქემალის შორის დაიდო. სომხეთის სხეულს ჩამოსჭრეს ყარსი და გუმბრი და იქ ქემალის ხელისუფლება დამყარდა. იმ პროვინციების სომხის მოსახლეობის მდგომარეობა აუტანელი შეიქნა, ქემალის პოლიტიკა სომხების მიმართ ოდნავაც არ დაცილებია იმ საერთო ხაზს, რომელსაც სომხების მიმართ ძველი ოფიციალური ოსმალეთი აწარმოებდა. იგივე რბევა, განადგურება და მტრული ურთიერთობა. სომხეთიდან იტყობინებიან: „ყარსის მიდამოები გაძარცულია, შიმშილი დაიწყო, მამაკაცებს აზრუმისკენ აგზავნიან.

ბათომის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს
რომ მან ეხლად მოაწყო

# ვალცის წისქვილი

(вальцовую мельницу).

რომელიც ჯერ ჯერობით დღიურათ ფქვავს 1000 ფუთ ძორბალს. მიღებულია ზომები მის გასაფართოებლად და ახლო მომავალში დაფქვავს დღიურად 2000 ფუთამდე

დაწესებულებანი რომელიც მოისურვებენ ისარგებლონ აღნიშნული წისქვილი. ყოველივე ცნობისათვის უნდა მიმართონ ბათომის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას.

2ა 3—1 ბათომის ქალაქის გამგეობა.

აქ ჩვენ არ შეურგებით იმის გამორკვევას, თუ რით აიხსნება ასეთი მტრული და სისასტიკით ალსავსე განწყობილება სომხების მიმართ, მხოლოთ ვიტყვით, რომ იმ პარტიის, რომელიც რამოდენიმე ათეული წელია ხელმძღვანელობს სომხის ერს, ედება დიდი ბრალი იმ ტანჯვაში, რომელიც წილათ ხვდა მას ოსმალეთისგან,

სომხეთი დამარცხდა ქემალთან ბრძოლაში, ამავე დროს ადერბეიჯანიდან მას უახლოვდებოდა ბალშევიკური ჯარი და სომხეთიც დაეცა. გაწითლდა სომხეთი, მოხდა სომხეთის მმართველობის „სოვეტიზაცია" ცხადია, სომხეთის მმართველი წრე ფიქრობდა გაწითლებით თავის გადარჩენას, ბალშევიკურ ძალებზე დაყრდნობით ოსმალეთის საფრთხის აცილებას, მეზობლებთან ურთიერთობის განსაზღვრაში ამავე ძალების გამოყენებას. ესეც ძველი, დაშნაკური ფანდები მოსჩანს. მართლაც, როგორც კი სომხეთის სოვეტიზაცია მოხდა, გაწითლებული სომხეთის ნარკომინდელი (საგარეო საქმეთა მინისტრი) ბეკზადიანი ნოტით მიმართავს ქემალს, ნოტას უგზავნის ჩვენ მთავრობას და გვედავება და ცილს გვწამებს იქ სადაც სადაო და ცილის დასაწამები არაფერი არის. როგორც ხედავთ ის ძირი, რომელზედაც იყო დაშნაკების პარტიის პოლიტიკა აგებული სრულებით არ შეცვლილა. დღესაც, სომხეთის მმართველი წრე თავის სომხეთის ძალებზე არ ცყრდნობა, მეზობლებთან დაახლოვების და დამეგობრებას არ ცდილობს, სომხეთის ერის სასიცოცხლო ინტერესების სწორეთ გაგებას არ უდგება, პირიქით ბალშევიზმის ფიზიკური ძალა რომლებიც დროებით მის საზღვარში ჩათესლებულა, წარმოუდგენია ძალით, რომელზე დაყრდნობა მას მ სცემს საშვალებას აწარმოებს ძველი არა მეგობრული პოლიტიკა მეზობლების მიმართ, და ფიქრობს, რომ ბოლშევიზმის საშვალების განახორციელოს ის დიდი პრეტენზია, რომელიც სრულებით არ ეგუება სომხის როგორც პატარა ერის, სუსტ ძალებს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ მმართველი წრე ყალბათ აფასებს ბოლშევიზმის ძალას, ტყუილათ ამყარებს მასზე იმედებს; ბოლშევიზმი იყენებს სომხეთს ბრმა იარაღათ თავის მიზნებისათვის და მალე დაიმსხვრევა ის ილიუზია, რომელიც ბოლშევიზმის მოვლინებით სომხის ერში იქმნება რაც სავალალოა, განაწამები სომხის ერი ეხლაც იტანჯება და ბოლშევიზმის ბატონობის ქვეშ წელში ტყდება. სომხეთიდან იტყობინებიან, რომ ბოლშევიკური მეთოდი მმართველობისა იქაც გაბატონებულია; გვატყობინებენ: დელიჟანსა და კარაკლისში დაგროვილი სურსათ სანოვაგე გაზიდეს, წაიღეს რეკვიზიციის წესით და აქეთკენ გაგზავნეს შუშა, ფქვილი, ტანისამოსი, შინაური საქონელი ასეთია ის სამოთხე რომელიც დამკვიდრებულა სომხეთში ბოლშევიზმის გაბატონების შემდეგ.

## მოკლე შენიშვნები.

13

დასრულდა „ფრონტის დღეები".

საჩუქრებიც უკვე გადაიგზავნა პოზიციებზე.

სამშობლოს თავისუფლების დარაჯნი მიიღებენ ჩვენ წარმომადგენლებს, მათ დაურიგდებათ ხალხის მიერ გაღებული წვლილი და ამით კიდევ უფრო გამომთელდება ფრონტის და ხალხის შემაერთებელი ერთი გული და ერთი სული.

ზოლა ეს საქმე დასრულებულია და ჩვენ შეძლება გვაქვს ცისაუბროთ შედეგებზე.

რის მაჩვენებელია „ფრონტის დღეები"?!

რა მოგვცა ჩვენ მან ნივთიერათ და რას უდრის მისი სულიერი მნიშვნელობა...

„ფრონტის დღეებში" როგორც სარკეში გამოიჭვრიტა საქართველოს სახე, მისმა პოლიტიკურმა ვითარებამ.

მისმა ეროვნულმა მაჯის ცემამ.

ნივთიერათ ეს იყო ყოვლათ მოულოდნელი მიღწევა.

რესპუბლიკის დამცველების დახმარებას გამოეხმაურა დიდიც და პატარაც, მდიდარიც და ღარიბიც.

მთელმა ხალხმა ცხადყო თავისი გულუხვობა და გაიღო ის, რის გაცემა დღევანდელ პირობებში შესაძლებელი იყო.

მასაში გადასროლილი ლოზუნგი—

— „ყველაფერი ფრონტისათვის".

უბრალო სიტყვათ კი არ დარჩა.

ეს სიტყვები საქმეთ იქცა, ცხოველმყოფელი, მადლიერ საქმეთ და ხალხის ფრონტისადმი საყვარელი საჩუქრების მშვენიერ თაიგულით გამოხატა.

ფრონტი და ხალხის სულიერათ შედუღდა, სამშობლოს უანგარო სიყვარულობამ საშვალება მისცა ფართე საზოგადოებას განემტკიცებია სულიერი კავშირი იმ თანამოძმეებთან, რომლებსაც ბედმა არგუნა უბედნიერესი მოვალეობა, თავისუფალი ქვეყნისათვის თავგანწირულება.

ხალხი და ფრონტი გაერთიანდა საერთო კეთილშობილური გრძნობით, ქვეყნის დაცვა გადაიქცა საერთო და საერო საქმეთ.

მუშის შვილები მოწიწებით უგზავნიან სამშობლოს დამცველებს საჩუქრებს ცალკე წერილებით, რომლებში ჩაქსოვილია ძვირფასი და უშუალო გრძნობები..

როდესაც ეცნობი ფრონტის დღის საქმიანობას, ათვალიერებ დაგროვილ საჩუქრებს და ხოტბას ასხამ ხალხის სულიერ სიმტკიცეს, ძალა უნებურათ გინდა შეადარო წარსული და აწმყო.

ომი უკვე ექვსი წელია სწარმოებს

ეხლა ჩვენ მეშვიდე წელში გადაველით, რაც კაცობრიობა ომის ღმერთს დაუპყრია და თავისი სურვილისამებრ განაგებს.

ამ ხნის განმავლობაში დაიღუპა მილიონები ახალგაზრდობისა.

კაცობრიობის მიერ ომის ღმერთისადმი შეწირული სისხლის დაგროვება რომ შეიძლებოდეს, ჩვენ წინ აწითლდებოდა გარდაუვალი ზღვა წითელი ფერადებისა.

მსოფლიოს მის პირველ დღეებშიაც გაისმა მოწოდება.

— დაეხმარეთ ფრონტს..

მაგრამ ამ მოწოდებამ გამოიხმაურა მთლათ ერთი წრე საზოგადოებისა.

ის კლასი, რომელიც ომით სოციალურად იყო დაინტერესებული, რომელიც აწყობდა ძმათა ჟლეტას საკუთარი ინტერესებით გატაცებული

ამ მოწოდებას სახალხო ხასიათი არ მიუღია.

და ვერც მიიღებდა, რადგან მაშინდელი ომი ხალხის წინააღმდეგ იყო მიმართული.

და ხალხის ხარჯზე სწარმოებდა.

სულ სხვა სურათს ვხედავთ დღეს.

ეხლა სასწორზეა დადებული თვით ხალხის არსებობა, მისი მისწრაფება იდეალები

დღეს ჩვენში ომის საკითხს სწყვეტს თვით ხალხი, რადგან მის ხელთ არის ქვეყნის მართვა გამგეობა

ამიტომაც არის, რომ ფრონტის ყოველ ტკივილს გრძნობს თვით ხალხი და გულითადი თანაგრძნობით უპასუხებს მას.

დღეს ომი ხალხურია და მეომარიც იმყოფება ხალხის პატრონობა მფარველობის ქვეშ.

ფრონტის დღეებმა ერთხელ კიდევ გამოაშკარავეს ჩვენი სულიერი სიძლიერე.

ჩვენი გაკაჟებული ნება და გარკვეული მისწრაფებანი.

ხალხის და ფრონტის გაერთიანებული გრძნობა და ენტუზიაზმი, ალტაცება და თავგანწირულება თავდებია ჩვენი დამოუკიდებელი არსებობისა.

ეხლა თვითეული გვარდიელი და ჯარისკაცი უნდა დარწმუნდეს, რომ სახლში დარჩენილებიც იზიარებენ მათ გაჭირვებას, მათ ტკივილებს და მზათ არიან პირველი გამოძახილით გამოცვალონ ისინი ბრძოლის ველზე,

და ვიდრე ეს საჭიროება, ხალხი ეცდება გამოხატოს თავის სიყვარული ფრონტისადმი საჩუქრების და გულწრფელი თანაგრძნობით,

ქ. ფირცხალაიშვილ.

## ადმინისტრაციისთვის.

სახელმწიფოს წესწყობილების მთავარ საძირკველს ადმინისტრაცია წარმოადგენს.

რესპუბლიკის „რეჟიმი" ხალხში იწყება და პიროვნდება ადმინისტრაციით,

ადმინისტრაცია აღმასრულებელი ხელი ადმინისტრაცია ყოველ დღიურ ცხოვრებაში ნორმალობის დამცველი.

ადმინისტრაცია დარაჯი სახელმწიფოს ცხოვრების სასურველ კალაპოტში მიმდინარეობისა.

ცენტრზე დაშორებულმა სოფლურმა საქართველომ არ იცის თუ რას ჰფიქრობს—ან ეთებს მთავრობა და ან დამფუძნებელი კრება მან იცის ამბავი თავის კომისრის ან მილიციელისა და მის ყოფა ქცევის მოქმედების მიხედვით აფასებს რესპუბლიკის მთავრობასაც.

ზემო ნათქვამიდან გამომდინარეობს რომ ადმინისტრაციის სისაღეს და მის მოწოდების სიმაღლეზე დგომას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონია სახელმწიფოსთვის.

მით უმეტეს დემოკრატიულ სახელმწიფოსთვის, სადაც მთავრობა ხალხისგან არის არჩეული და ქვეყნის გამგებლობას პრინციპად უდევს ხალხის გამგებლობა

საქართველოში გაცილებით უფრო საჭიროა ვიდრე სხვაგან სადმე შერჩეული ადმინისტრატორები ხეირიანი მოხელეები კარგი თანამდებობის პირნი.

პატარა სახელმწიფო საქართველოსა, რომლის სიმაგრეც უნდა წარმოშვას ყველა მოსაქმეთა და დასაქმებულთა შეგნებამ ვერ შეურიგდება ცუდ მოხელეთა საზიანო ყოფა ქცევას.

ჩვენში რჩეული და სინდისიერი კაცები გვჭირია მოხელეებათ მაგრამ მარტო რჩეულით და პატიოსანით არ იწურება მისია ამ მორთულებით

რაც უნდა მაღალ და კეთილ შობილ ღირსების იყოს მოხელე ლათინელების თქმის არ იყოს. Ersa guaum შეცდომა კაცის თვისებაა,. მას შეცდომები უთუოდ მოუვა, თუ მას არ აქვს ფართე წარმოდგენა თავის მოვალეობაზე და არ ესმის უფლებები მოქალაქისა. მოხელეს თქვენ რომ ღირსებულად კანონის დაცვა და შესრულება მოსთხოვოდ ამიტომ ის შესაფერ ცოდნით უნდა იყოს აღჭურვილი.

გარდა პერსონალურად შერჩეულ მოხელისა რაც ჩვენს პატარა სამშობლოში ადვილი მისაღწევი უნდა იყოს, მოხელე სამსახურში გაწესებისას შეიარაღებული უნდა იყოს მისი დარგის საკმარის ცნობით და ცოდნით.

ამისათვის კი აუცილებელი იქნება თუ ჩვენ გვწადს საქართველოს მარადიული სიცოცხლე და მისი ნამდვილ დემოკრატიულ თავისუფალ რესპუბლიკად მოწყობა მოხელეთა აღსაზრდელად, მათ მოსამზადებლად, გასაწვრთნელად ცალკე ინსტიტუტის დაარსება.

მოხელეს განსაკუთრებული სკოლა უნდა ჰქონდეს გავლილი, მან უნდა იცოდეს კრიმინალური უფლება და საზოგადოთ ძირითადი კანონები რესპუბლიკის კონსტიტუციისა.

დედა ქალაქში უნდა გაიხსნას მოხელეთა მომზადებული ინსტიტუტი. თორემ ისე ფასი და მნიშვნელობა დაეკარგებოდა ჩვენს დემოკრატიულ ლოზუნგებს რადგან შეურჩეველი მოხელეები და სხვათაშორის შეკრებილი ხალხი მთავრობას აძლევს მცხოვრებლების წინაშე უარყოფითად.

ამ ჟამად ჩვეულებრივი მოვლენაა მოხელეთა თვითნებობა, უფლებების გადამეტება და ბოროტ მოქმედება თუმცა შედარებით მეზობელ რესპუბლიკებთან და საბჭოთა რუსეთთან ჩვენ სამოთხეში ვიმყოფებით, დღემდის ამის მოთმენა კიდევ შეიძლებოდა რადგან ჩვენი სახელმწიფო შენდებოდა ირგვლივ ანარქიის ცეცხლის გიზგიზში და გარეშე მტრების თავდასხმის განცდაში, ახლა, როცა ჩვენი რესპუბლიკა საკუთარ კონსტიტუციის მოლოდინშია ყოვლად შეუძლებელია ძველი მდგომარეობის დატოვება,

უნდა მიხედოს დაცხრილვა და ახალ მოხელეთა წყებების მომზადება საკუთარ სკოლით ეს საკითხი იმდენად სერიოზულია რამდენადაც

ჩვენ გვეჭირვება სადაც ადმინის…
ცია წმინდა დემოკრატიულ მმარ…
ლოვნის განსამტკიცებლად ს…
ველომ ამ მიზნით სასწრაფოდ…
გადადგას შესაფერი პრაქტიკ…
ნაბიჯი.

ი. დიდი…

## უცხოეთი.

### საფრანგეთი

საფრანგეთის დანაწილება… ადმინისტრატიულ ოლქებათ, რო… ლიაც ამ ჟამად იხილავს კაბინე… წარმოადგენს დეცენტრალიზა… განხორციელების საინტერესო ც… „პტი პარიზიენი" სწერს: ნაპოლ… ნმა შემოიღო საფრანგეთში ც… ტრალიზაციის მისი სისტემია კო… ნა. ემიერლიენადა პრეფე… რომელიც განაგებდა დეპარტამენ… გენერალური საბჭოსა და სხვა… სხვა (გამოტოვებულია) უფსო… დახმარებით. ახალი რეჟიმი სტო… კომუნებსა და დეპარტამენტს… სუბ-პრეფექტურებს. იგი აერ… 3-6 დეპარტამენტს და ამ გვა… იქნება ოლქი, რომლისაც განაგ… უმაღლესი პრეფექტი. ამ პრეფე… ნიშნავს სოლქო საბჭო, რომელ… შესდგება გენერალურ საბჭოს… დელეგატებისაგან.

ოთხშაბათს საფრანგეთის საგარ… საქმეთა სამინისტრომ მიიღო… დეგი ცნობა: ნოვოროსისკის ახლ… აზოვისა და შავი ზღვის შესართ… თან საფრანგეთის გამანადგურებ… „საკალავს" თავს დაესხმია ბოლშ… კების სამხედრო გემი. თავდასხ… დროს გამანადგურებელი იყო მ… ტოლ. მაგრამ იმ გვარი მოხერხებუ… პოზიცია დაიკავა, რომ თავისი… ტარა ზარბაზნებით შეეძლო თა… სუფლად ესროლა საბჭოთა გემ… თვის ღართლაც რამდენიმე წუ… შემდეგ ბოლშევიკების გემმა დაძ… ვა დაიწყო. საფრანგეთის გემი სრ… ლის განაგრძობდა. ფრანგების… ნაკლისი, თუ კი ასეთი რამ ი… ჯერ-ჯერობით გამოურკვეველია

გერმანული პრესა მრავალ წერი… უძლვნის საფრანგეთის კაბინე… გადადგომას, რასაც ხსნიან საფრა… გეთის სურვილით, რომ თავის… ტერესების უკეთესი დამცველი… ნისტრები იყოლიონ...

### ორთქმავალები რუმინიისათვის

რუმინეთის მთელი პრესა კმა… ფილებით აღნიშნავს რუმინეთში… კავშირეთა მიერ ახალ ორთქმავა… ბის შეტანას. უმეტესობა ამ ორთ… მავალებისა უკვე აამუშავეს და… გორც ფიქრობენ ხაზხულისათ… რკინის გზები შესძლებენ მიიტან… ნავსადგურებში საკმაო საქონე… ხორბალი, ხე-ტყის მასალა, ნავ… და სხ ნედლი მასალა, რომელ… ამ ჟამად ქვეყნის შუა გულში არ… დაგროვილი. რუმინეთის ხორბა… და სხვა პროდუქტებს მიაწოდ… ევროპას. ამას თანავე ეს გააუმ… ჯობესებს რუმინეთის ფულის კურ… დიდი საექსპორტო ფირმები ამ… მად სდებენ ხელშეკრულებას თა… საზღვარს გარეთ მყოფ აგენტებ… და კლიენტებთან.

პარიზი. 14—1 უკმაყოფილ… ბოლშევიკური რეჟიმით. თანახ… კავკასიიდან უკანასკნელად მიღებ… ცნობებისა ბოლშევიკურ ჯარე… სულიერი განწყობილება თანდათ… უარესდება. იტყობინებიან აგრეთ… რომ იმ მკაცრმა ზომებმა, რომელ… წიიღო საბჭოთა მართველობამ აზ… ბეიჯანში ადგილობრივ მცხოვრებ… შორის, დიდი უკმაყოფილება გამ… წვია.

პარიზი. ლეიგის კაბინეტი გად…

გა მას შემდეგ, რაც დეპუტატთა პალატამ უარყო მთავრობის მიერ შეტანილი რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვდა საერთო პოლიტიკის შესახებ შეტანილ შეკითხვის გადადებას. ასახელებენ პუანკარეს, ვივიანს და რაულ პერეს, როგორც კანდიდატებს...

რუსეთის დამფუძნებელი კრების ხლომა დახურულ კარებში მოხდეს.

კაბინეტის შედგენის საკითხი.

**ნაპოლი.** 15 იანვარი. იტალიის პრესა პუანკარეს მთავრობის თავმჯდომარედ მოსალოდნელ დანიშვნის გამო დიდ შიშს გამოსთქვამს. „იდეა ნაციონალე“ აცხადებს რომ შეუძლებელია შერიგება პუანკარეს იდეისა საერთაშორისო მშვიდობიანობის დამყარების სურვილთანო.

პირველათ ფრანგული პრესა მოითხოვდა უფრო მტკიცე კაბინეთის შედგენას, ვიდრე ლეიგის კაბინეტი იყო. ეხლა კი პუანკარეს მხოლოდ ფინანსთა მინისტრათ ასახელებენ. ბურჟუაზ, რომელმაც ხელახალი არჩევნების დროს სენატში თავმჯდომარის მდივანი დაიკავა, აღნიშნა საპიროება მდგომარეობის მოკავშირეებთან ერთად განხილვისა.

მაქსიმ გორკი.

**პარიზი.** „ფიგარო“ იუწყება: გორკიმ გადაწყვიტა რუსეთის დატოვება, მაგრამ მთავრობა აუკრძალა რუსეთიდან გასვლა. გორკის ბინას დარაჯები უთვალთვალებენ. თვალყურს ადევნებენ მის ბინაზე მიმსვლელთაც.

ამერიკის მრეწველობა.

**ვაშინგტონი.** ამერიკის პრესა აღნიშნავს ამერიკის მრეწველობის მძიმე მდგომარეობას. რაც გამოწვეულია მცირე მოთხოვნილების გამო წარმოების ხელოვნურად შემცირებით. მსხვილი კომპანიები თავის წარმოებებს ხურავენ. ჰარდინგმა გადასწყვიტა საგანგებო თათბირის მოწვევა, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ზომები ფინანსიური კრიზისის მოსასპობად.

პროსტიტუცია.

**მოსკოვი** „იზვესტია“ № 294 იუწყება იმ თათბირის შესახებ, რომელიც მოწვეულ იქნა მოსკოვში ჯანმრთელობის კომისარის სემაშკოს თავმჯდომარეობით. თათბირზე პროსტიტუციის გავრცელების შესახებ მოხსენება წაიკითხა კოლონტაიმ, რომელმაც სთქვა: „საბჭოთა რუსეთში პროსტიტუციის გავრცელება საშიშ ხასიათს ღებულობს. ეს უბედურება გამოწვეულია რუსეთის მძიმე ეკონომიური მდგომარეობით“.

ორჯონიკიძე და სხვანი.

**მოსკოვი.** კომუნისტური პარტიის ცეკამ საგანგებო სხდომაზე განიხილა კომუნისტ ვადიმ ლუკაშევის განცხადება ორჯონიკიძის მეთაურობით კავკასიაში მყოფ განსაკუთრებულ კომისართა მიერ ბოროტმოქმედებათა ჩადენის შესახებ. ცეკამ მიიღო შემდეგი დადგენილება: ლუკაშევის მოხსენება ქმნის ყალბ წარმოდგენას კავკასიის მდგომარეობაზე. ცენტრალური კომიტეტს სრულ ნდობას უცხადებს ორჯონიკიძესა და კავკასიაში მყოფ სხვა პარტიულ მოღვაწეებს და აღნიშნავს რომ არ არსებობს საკმაო საბუთები მათი ბოროტმოქმედების შესახებ.

ს ო მ ხ ე თ ი.

ყარსის მიდამოები გაძარცულია და განადგურებული. მამაკაცები არზრუმისკენ გაგზავნეს, ხოლო ქალები გუმბრში გადმოიყვანეს. დელიჟანსა და კარაკლისში დაგროვილი სურსათ-სანოვაგე სულ ჩანთქმულია, წაიღეს რეკვიზიციის წესით და აქსტაფისკენ გაგზავნეს: შუშა, გალეტი, თეთრი ფქვილი, შერია და ტანისამოსი. დაიწყო აგრეთვე რეკვიზიცია თივისა, ხორბლისა და შინაური საქონლისა.

ს ა ფ რ ა ნ გ ე თ ი.

14/1 (დასაწყისი არ მიგვიღია.) ლეფევრმა სთქვა: საფრანგეთის პარლამენტი მოითხოვს უფრო მტკიცე ხასიათის პრემიერის დანიშვნას, ვიდრე ლეიგი იყო.

ბერლინის რადიკალური გაზ. „ფოლკს ცაიტუნგი“ კაბინეტის გადადგომის უმთავრეს მიზეზებს უყურებს საფრანგეთის ეკონომიურათ უზრუნველყოფაში, რითაც აიხსნება კაბინეტის ხშირი ცვლა, ადმინისტრაციის მერყეობა და გაუგებრობანი საგარეო პოლიტიკის საკითხებში სოციალ-დემოკრატიულმა... (გამოტოვებულია)... დიდი შეცდომა ჩაიდინეს იმით, რომ წასულ ნოემბერში პალატაში აირჩიეს რეაქციონური უმეტესობა. გაზეთი ფიქრობს, რომ ჯერ კიდევ ნაადრევია ლაპარაკი პალატის გაშვების შესახებ და იმედი აქვს, რომ კრიზისი მისცემს ახალ (გამოტოვებულია) საფრანგეთისა და ევროპის სასარგებლოთ.

რ უ ს ე თ ი.

13. (რადიო). საბჭოთა რუსეთის დიპლომატიური მუშაობა ერთობ ნაყოფიერია. გასული წლების განმავლობაში საბჭოთა რუსეთმა დასდო უკვე ძალაში შესული საერთაშორისო ხასიათის 30 ხელშეკრულება და შეთანხმებანი. სამხედრო ტყვეთა გაცვლის შესახებ ხელშეკრულება დაიდო დიდ ბრიტანეთთან, საფრანგეთთან, იტალიასთან, დანიასთან, გერმანიასთან, ავსტრიასთან; საბჭოთა რესპუბლიკამ დასდო სამშვიდობო ხელშეკრულება განაპირა სახელმწიფოებთან, ესტონეთთან, საქართველოსთან, ლიტვასთან, ლატვიასთან, ფინეთთან, და დროებითი ზავი პოლონეთთან.

ბ რ ა ზ ი ლ ი ა.

გერმანელთა ფირმებმა რიო დე ჟანეიროში ბრაზილიაში შეადგინეს საზოგადოება სახელწოდებით „გერმანულ ცენტრალი“, რომელიც შემოიკრებს ყოველგვარ გერმანულ საქმიანობას ბრაზილიაში. ეს საზოგადოება შეიძენს ბინას, სადაც მოთავსდება აგრეთვე გერმანულ-ბრაზილიური საზოგადოებათა კავშირის სეკრეტარიატი. გერმანულ მოღვაწეობას ამგვარივე გამოფხიზლება ეტყობა სხვადასხვა შტატებსა და სახელმწიფოებში მაგ. სონტა კათარინა, რიოგრანდე დო სულ, პარანა და საოპაულო.

ლ ო ნ დ ო ნ ი

ლონდონის ფინანსიურ წრეებში დიდი აღელვება გამოიწვია პაროუს ბანკის გაკოტრება მას ინგლისში ჰქონდა 75 განყოფილება. მთავრობის განკარგულებით დააპატიმრეს ბანკირი პაროუ, ბანკის გამგეობის წევრი და მთავარი ბუღალტერი, რომელთაც ბრალსა სდებენ ბანკის ბალანსისა და წლიურ ანგარიშის განგებ დამახინჯებაში.

ლენინის სიტყვა.

მოსკოვი. „პრავდა“ (№ 205) გადმოგვცემს ლენინის სიტყვებს, რომელიც მან წარმოსთქვა მოსკოვში კომუნისტების კონფერენციაზე: სახელმწიფოებრივი აღმშენებლობა ამ ჟამად მოითხოვს მეტს სისტემატიურობას, დიდ ენერგიას და უფრო მეტ ორგანიზატორულ ნიჭს, ვიდრე ომიანობის დროს. ორგანიზატორულ ნიჭით რუსი ადამიანი, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე უფრო ცუდი ადამიანია. ეს არის ყველაზე უფრო სუსტი მხარე და ამიტომ უნდა მოვსპოთ ყოველგვარი დაბრკოლება, რაც კი ჩვენ ხელს გვიშლის ამ დარგში. ჩვენ ოპოზიციასთან დიდი დრო დავკარგეთ ათას გვარ დავაში და ლანძღვა გინებაში. დროა უთხრათ ჩვენ თავს: კმარა და შევეცადოთ ჩვენი მუშაობის გაჯანმრთელობას. საჭიროა რომ ჩვენი მუშაობა იყოს შეთანხმებული, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში თანამედროვე პირობებში, როდესაც ჩვენ გარს შემორტყმული ვართ შინაურ და გარეშე მტრებისაგან, არსებობა შეუძლებელია. ამ შეგნებამდის ჩვენ მივედით, მაგრამ იგი ძვირად დაგვიჯდა.

იტალია და ერთა ლიგა.

ბერლინი. გერმანული პრესა იუწყება; იტალიის სენატორმა შანცერმა განაცხადა, რომ იტალია მხარს დაუჭერს ერთა ლიგას იმ შემთხვევაში, თუ მის შემადგენლობაში მიღებულ იქნება ყველა სახელმწიფო.

საფრანგეთის ლაშქარი.

ციურიხი. „ციურიხის გაზეთი“ იუწყება ამ ჟამად საფრანგეთის ლაშქარში ირიცხება 40,480 ოფიცერი და 84,700 ჯარის კაცი.

ტრედ—უნიონების კავშირი

ლონდონი. ინგლისში დაიწყო აქტიური მოძრაობა ოთხ უდიდეს ტრედ იუნიონის გაერთიანების მიზნით. მუშათა საერთო ეროვნულ კავშირის, საზოგადოებრივ მოსამსახურეთა კავშირის, შრომის ეროვნულ კავშირისა და მუშათა კავშირისა. ამ ორგანიზაციების ერთ პროფესიონალურ დროშის ქვეშ გაერთიანებისას ერთ კავშირში იქნება მილიონზე მეტის წევრი.

ჩ ი ნ ე თ ი

იანვრის 10 მოხდება ჩინეთის მუშების კავშირთა საოლქო ყრილობა.

ს პ ა რ ს ე თ ი

ირანის კომუნისტურ პარტიის ცეკამ მიმართა სპარსეთის მშრომელ ხალხის მოწოდებით, რომელშიაც იგი მოუწოდებს სპარსელებს იბრძოლონ ინგლისელების განსადევნათ და სპარსეთის კაპიტალისტების უღლიდან განთავისუფლებისათვის. კომუნისტები მოუწოდებენ მშრომელ ხალხს აზიის მთავრობის ჩამოგდების და მემამულეებთან განთავისუფლებისაკენ. სპარსეთის კომუნისტები საკუთარი ჯარი შექმნას ცდილობენ.

# ახალი ამბები

მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია 15 იანვარს ღამის მატარებლით ლანჩხუთიდან თბილისს გაემგზავრა

მთავრობის განსაკუთრებული რწმუნებული ბ-ნი გრიგოლ გიორგაძე თბილისს გაემგზავრა, მის თანამდებობის აღსრულებას შეუდგა ჯარების სარდალი გენ. ზაქ. მდივანი.

ბათომში დაბრუნდა შავ ზღვაზე ფრანგთა სამხედრო ფლოტის სარდალი დიუმენილი.

საქართველოში ახლად დანიშნული იტალიის პოლიტიკურ აგენტის შესახვედრად თბილისიდან ჩამოვიდა იტალიის კონსული ბ-ნ ფრანცული.

ბაზარზე საგრძნობლად დაეცა ფასები ყოველგვარ სანოვაგეზე, შაქარი რომელიც ღირდა წინად 1000 მან. ახლა ღირს 700 მან.

ნავთსადგურში ჩამოსულ გემების ამოსაღები მუშაობა სავაჭრო ნავთსადგურის უფროსმა გადასცა ამავე ნავთსადგურის მეზღვაურთა პროფესიონალურ კავშირს.

ქალაქის სანიტარულ აგენტს კოლიევს 8 იანვარ. 15 იანვრამდე დაუთვალიერებია 14 ეზო და 14 სავაჭრო დაწესებულება მას მიუცია 14 გაფრთხილება სანიტარულ წესების დარღვევის გამო.

# განათლების საქმე ტუსაღთა შორის.

იუსტიციის სამინისტრომ დამფუძნებელ კრებას წარუდგინა განსახილველად მოსაზრება ტუსაღთა შორის განათლების საქმის საკითხის შესახებ, რომელიც გულისხმობს საპატიმროებში განათლებისა და ფიზიკურ მუშაობის შემოღებას. ამ პროექტის დამატებითი ახსნაში იუსტიციის სამინისტრო უთითებს, რომ იგი მისწრაფებს დაპატიმრებულთა საგანმანათლებლო საქმის გაუმჯობესებას. ამ მიზნით იუსტიციის სამინისტრო წაპირებს საპატიმროებთან დაარსოს სასწავლებლები, ბიბლიოთეკები და სისტემატიურად მოაწყოს ლექცია—ბაასები. უმთავრესი მიზანი ლექცია-ბაასებისა არის და პატიმრებულთა ზნეობრივი აღზრდა, შეძენილი ცოდნა საშუალებას მისცემს დაპატიმრებულთ, განთავისუფლების შემდეგ შეუდგეს პატიოსანსა და ნაყოფიერ მუშაობას. გარდა ამისა განზრახულია სერიოზულად მოჰკიდონ ხელი ფიზიკურ საშუალებას, რომელსაც თვალყურს ადევნებს და განაგებს პირადად თბილისის სატუსაღებს სამუშაო უნდა მიეცეს მისი ფიზიკური მდგომარეობის, წლოვანებისა და საზოგადო წესიერების მიხედვით მიზანი ასეთი მუშაობისა არის, რომ ტუსაღები მიაჩვიონ ნაყოფიერსა და ცხოვრებაში გამოსადეგ საქმეს, შეასწავლონ რაიმე ხელობა ამ შემთხვევაში იუსტიციის სამინისტრო ემყარება ცნობილ სისტემას, რომ უსაქმურობა არის ბუდე ყოველგვარ ბიწიერებისა. ამიტომ მიზანშეწონილად დაყენებული ფიზიკური მუშაობის საქმე დიდ ზნეობრივ გავლენას იქონიებს ტუსაღებზე. სამუშაოს ხელფასი მიეცემათ იმის მიხედვით რაც საზოგადოთ დაწესებულია თავისუფალ ხელობაზე. ხელფასის ნაწილი უნდა გადაეცეს საქართველოს ყველა სატუსაღოებს განსაკუთრებულ ფონდს, რომ ამ თანხიდან შეძენილ იქნეს საჭირო ხელსაწყობები და მასალები.

ის ტუსაღნი, რომელნიც გამოიჩენენ განსაკუთრებულ გულის ყურს მუშაობის უნარს, უნდა განთავისუფლებულ იქმნან ვადის გასვლამდე,

# გადასახლების მოსაწესრიგებლად.

მიწად-მოქმედების სამინისტრომ წარუდგინა მთავრობას მოხსენება მის განკარგულებაში გადასახლების საქმის გასაფართოვებლად უპროცენტო სესხის მიცემის შესახებ. თავის მოხსენებაში მიწად-მოქმედების სამინისტრო აღნიშნავს, რომ საქართველოში და განსაკუთრებით კი დასავლეთ საქართველოში მიწის ისეთი სივიწროვეა, რომ პირველ რიგში უნდა დაისვას საკითხი უმიწა-წყლოთა გადასახლების შესახებ. მდგომარეობა მით უფრო უარესდება, რომ რუსეთის სხვა და სხვა ადგილებიდან მრავალი ქართველი ბრუნდება სამშობლოში, ყველა უმიწა-წყლოთა დასაკმაყოფილებლად მიწად-მოქმედების სამინისტროს განზრახული აქვს მათი შემდეგ რაიონებში გადასახლება: ახალ ციხის მაზრაში, ბორჩალოს მაზ. ყარაიაზში, შირაქის ველზე, ცხინვალის და გორის რაიონში. თავისუფალი და ცარიელ დასახლებული სივრცე რესპუბლიკაში უდრის დაახლოვებით 84600 დესეტინას, რომელზედაც შესაძლებელია 8000 კომლის დასახლება. მაგრამ გადასახლებაზე თანხმდებიან მხოლოდ უღარიბესი ელემენტები, რომლებსაც არა თუ არავითარი ინვენტარი არ გააჩნიათ, არამედ რომელთაც გადასახლების არავითარი საშუალებაც არ აქვთ. თავის დროზე მთავრობამ გადასახლებულთა საჭიროებისათვის 36300000 მანეთი გაიღო, მაგრამ მას შემდეგ ცხოვრება მეტად გაძვირდა და ამ ჟამად 8000 კომლის გადასასახლებლად საჭიროა არა ნაკლებ 3 მილიარდი მანეთისა. მაგრამ ასეთი საგრძნობი თანხის გაღება რესპუბლიკისათვის დიდ დაბრკოლებას შეადგენს და ამიტომ მიწად-მოქმედების სამინისტრო შუამდგომლობს დამფუძნებელ კრების წინაშე 300 მილიონ მანეთის გაღების შესახებ. გადასახლებულთა ფული მიეცემათ არა ხელში, არამედ მათ მიეცემათ სასოფლო სამეურნეო ინვენტარი, მუშა საქონელი ასაშენებელი. მასალა, და სურსათ-სანოვაგე. ამასთანავე გადა-

# მოძრავი გამოფენა.

17 იანვარს, ქალაქის საბჭოს დარბაზში გაიხსნა ქართველ მხატვართა მოძრავი გამოფენა მხატვარ მოსე თოიძის მეთაურობით.

გამოფენა ღია არის მნახველთათვის დილის 10 საათიდან შუადღის 3 საათამდე და საღამოს 6-დან 9 საათამდე




გამოფენა შესდგება სამი ნაწილისაგან: 1) ქართველ მხატვართა ნაწარმოები, 2) მეზობელთა და ევროპიელ ხელოვნების ნიმუშები და 3) პლაკატები და კარიკატურები თანამედროვე პოლიტიკაზე.

ფასი გამოფენაზე შესვლისა 100 მან. მოსწავლენი, ჯარის კაცნი და გვარდიელნი იხდიან ნახევარ ფასს, სასწავლებლიდან და სხვა დაწესებულებებიდან მოსულნი ჯგუფები, არა ნაკლებ ათი კაცისა, იხდიან, როგორც მუშების შესავალიან დღეს ხელოვნებაზე ლექციის მოსმენით, ერთ მეხუთედს ფასს, რომლის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]ბულთათვის დახმარების მიცემის დროს უნდა გაეწიოს ანგარიში გადასასახლებელ ადგილის და გადასახლებულთა საერთო მდგომარეობას. გადასახლებულთ ფული უნდა მიეცეს უპროცენტო სესხის სახით. ცნობები ამის შესახებ უნდა გადაეცეს ხაზინას, რომ მან გაანაღდოს ეს სესხი თანდათანობით თანახმად მიწად-მოქმედების სამინისტროს მიერ შემუშავებულ ინსტრუქციისა.

## ბათომის რკ. გზის სად-გურზე.

ამ ბოლო დროს სადგურზე ერთობ გახშირდა სკანდალები. მთვრალი პირების ყვირილი და საერთოდ ისეთი მოვლენა რაც წესიერებას არღვევს. ჯარის კაცებიც მოდიან უწესრიგოთ მთელ შენობაში ბუზებივით ირევიან და არ იციან სად არის მათი ადგილი და ვის უნდა მიმართონ მგზავრობის საქმეზე. ჩანს სადგურის კომენდანტი არ სდგას თავის ადგილზე და საერთოდ სადგურის ადმინისტრაცია გულცივობს.

მათ უნდა უწყოდენ, რომ მარტო ყვირილში და იარაღის ჩვენებით არ დაიცვება წესიერება, თანამდებობის პირმა უნდა იცოდეს თავის მოვალეობა და თუ როდის სჭირია მას სისასტიკის გამოჩენა.

ბათომის სადგურს ამ საქართველოს რკინის გზების უკანასკნელ წერტილს სამხრეთით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ამ სადგურში მოვლენ პირველად ყველა მოკავშირენი ევროპიდან და აქაური „უწესრიგობა“ ცუდ შთაბეჭდილებას შექმნის ჩვენი რკინის გზის სადგურების შესახებ.

## შმაევსკის თეატრი.

ამ თეატრში წარმოდგენის დროს პირდაპირ აჩირებული მდგომარეობა იქმნება.

ყვირილს, სტვენას, კერძო გამოძახილებს წარმოდგენის გათავებამდე ისმენს ყური.

თეატრში არავითარი წესრიგი არ არსებობს, ყველა პირი იქით ჯდება და იკავებს ადგილს, სადაც მას მოესურვება, არც საპირფარეშო, და არც სხვა აუცილებელი მოწყობილობანი ამ თეატრს არ აქვს მაგრამ დღეს მის ხელ ახალ აშენებაზე ლაპარაკი ჩვენ არ გვინდა: დაიცვან და წესიერად აქონიონ ის, რაც არსებობს, თეატრში უნდა იყოს ადმინისტრაცია რომელიც უნდა კრძალავდეს აზიურ სტვენა ყვირილს თეატრში დაცულ უნდა იქმნას სისუფთავე თეატრში თუთუნს არ უნდა სწევდენ და ამას თუ თვითონ თეატრი ვერ აქცევს ყურადღებას მაშინ ქალაქმა და მთავრობამ უნდა ქმნან ეს აუცილებლად თორემ თეატრს სადაც მოქალაქეს უშიშრად ჯდომის შიში და მუდმივი სტვენა ყვირილი ყურს უყრუებს მოქალაქის თვალში დუქანზე უფრო დიდი ფასი ვერ მიეცემა.

თუ მომავალ მიმავალ მსახიობებს ეს აკლებათ, ინტერესებათ სამაგიეროთ ქართველმა მსახიობებმა, რომლებიც ქართულ თეატრს, ხალხს აყვარებენ ამ აჩირებულ მდგომარეობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ.

ჩვენ სხვათა შორის მიზან შეწონილად მიგვაჩნია, რომ დაინიშნოს თეატრებისთვის ცალკე ყურის მგდებელი ანუ კომისარი.

საღვინე გასტრონომიული მაღაზია
იყიდება
დაწმენდილ დაცდილი ი[illegible]
იამაის რომი კონიაკი „IMPERIAL“
და სხვა სასმელები მაღალი ღირსებისა
სავაჭრო სახლი ძმ. სესიაშვილებისა და ამხ.
25—9

## სრულიად საქართველოს მასწავლებელთა დელეგატების მეორე ყრილობა.

4 დღე.

სასკოლო რეფორმის შესახებ. მოხსენებას აკეთებს განათლების მინისტრის ამხანაგი ნ. ცინცაძე. მას ძლიერ სასიამოვნოთ მიაჩნია ის გარემოება, რომ ჩვენი რესპუბლიკის მასწავლებლობას, მიუხედავათ იმ ბუტანელ ეკონომიურ გაჭირვებისა, რომელსაც ამ ჟამად ისინი განიცდიან, მაინც ახსოვს და ფიქრობს სკოლების ბედიღბალზე. მინისტრის ამხანაგი იწყებს თავის მოხსენებას სახალხო სკოლებიდან, რომლისათვისაც განათლების უწყებას მიუქცევია ჯერჯერობით მეტი ყურადღება. როგორც ამას გვიჩვენებს 1915 წლის სტატისტიკა, დასავლეთ საქართველოში იმ დროს ყოფილა 427 დაწყებითი სკოლა, ამ ჟამად არის 923, აღმოსავლეთ საქართველოში ყოფილა 344, არის 620 სკოლა, სოხუმის ოლქში ყოფილა 64, არის 205 სკოლა. საერთო რიცხვი ყოფილა 835, არის 1745. მოწაფეთა რიცხვი ყოფილა ქუთაისის გუბერნიაში 72000, არის 140,000. ტფილისის გუბერნიაში 27,000. არის 37.000 მთელ რესპუბლიკაში ყოფილა 75.000 მოწაფე, არის 150.000. ხსენებულ სკოლებში საყოველთაო სწავლა განხორციელებულია რიგიანად გურიაში სენაკის, ქუთაისის და ზუგდიდის მაზრებში, სოხუმის ოლქში ნაკლებად. აღმოსავლეთ საქართველოში სკოლების რიცხვის ზრდა თვალსაჩინოდ ხდება გორისა, თელავისა და სიღნაღის მაზრებში. საერთოდ ეს ზრდა სკოლებისა და მოწაფეთა რიცხვისა მომეტებულად სწარმოებს საქართველოს დამოუკიდებლად გამოცხადების შემდეგ ქალაქებში თითქმის ყოველგან სასკოლო ქსელი შევსებულია, მხოლოდ ვანიცდით მასწავლებელთა ნაკლებობას

ამის მიზეზია სკოლების რიცხვის გადიდება ერთის მხრით და უცხო მასწავლებლების ჩამოშორება მეორეს მხრით. ამის გამო იძულებული ვიყავით მოკლე ვადიან კურსებზე მომზადებულ მასწავლებლებით შეგვევსო დანაკლისი. მოკლე ვადიან კურსებთან ერთად ჩვენ დავაარსეთ სპეციალური საპედაგოგიო სემინარიებიც. თელავში, ბოლბეში და სენაკში. არსებულ მასწავლებელთათვის ვფიქრობთ საპედაგოგიო კურსების მოწყობას, რომელთათვის უნდა მოვამზადოთ ღირსეული ინსტრუქტორები, უწყებამ ყურადღება მიაქცია აგრეთვე სკოლის გარეგან მოწყობას.

რომ ეს საქმე რიგიანად მოგვარდეს, საჭირო არის 10 წლის მუშაობა და ამ საქმის მოგვარებაში ჩვენ უნდა დაგვეხმაროს ადგილობრივი თვითმართველობები. ამის გარდა უწყებამ ჯეროვანი ყურადღება მიაქცია გამომცემლობის საქმესაც. ამ მხრივ დიდ გაჭირვებას განვიცდით განსაკუთრებით ქაღალდის სიძვირის გამო და ეს გვჭირს არა მარტო ჩვენ, არამედ გერმანიას, საფრანგეთს და სხვებსაც. მიუხედავად ამისა ყოველი ზომები მიღებული, რომ ახლო მომავალში უწყებამ გამოსცეს საკუთარი ორგანო და სხვა გამოცემები.

ამას გარდა მინისტრის ამხანაგი შეეხო სკოლის წინასწარ აღზრდის საქმეს. მან მაგალითი მოიყვანა შ ტ ა ტ ე ბ შ ი დაწყებითი სკოლების და სკოლის წინასწარ აღზრდის საქმის განცალკევებას და დაასკვნა, რომ ჩვენში ეს ორი მოვლენა ერთმანეთს უნდა დაუკავშიროთ ორგანიულად. სასკოლო კომისიაში ეს პროექტი მიღებულია და ნაწილობრივი პრაქტიკული ნაბიჯებიც გადადგმულია. მას ხელმძღვანელობს თბილისში იტალიელი გამოცდილი ქალი და შედეგებიც დამაკმაყოფილებელი არის. სკოლაში იღებენ ბავშვებს 6 წლიდან და ის თანდათან ეჩვევა სკოლას და მის ცხოვრებას. უმაღლეს დაწყებითი სკოლების მდგომარეობა თითქმის ისეთივეა, რაც დაწყებით დაბალ სკოლებისა, რაც შეეხება საშუალო სასწავლებლების ორგანიზაციას, ჩვენ ამ ჟამად უკვე გვაქვს ერთიანი სკოლა, რაიც ჯერ კიდევ სადავო არის ზოგ ევროპის სახელმწიფოებში. ფიზიკურ აღზრდას ჯეროვანი ყურადღება აქვს მიქცეული. მოწყობილია ტანვარჯიშობის ინსტრუქტორების კურსები. ამასთანავე განათლების უწყებამ საჭიროდ დაინახა საპროფესიო სატეხნიკო სკოლების გაფართოება. ამ მიზნით ტფილისის ტეხნიკური სასწავლებელი გადაკეთდა საშუალო პოლიტეხნიკუმად. ფოთის, ხონის და ბორჯომის სახელოსნო სასწავლებლებიც თან და თან გაფართოვდებიან. დახმარებას ვუწევთ ეროვნულ უმცირესობის სასწავლებლებსა. დავეხმარეთ სომხების, მუსლიმანების, რუსების და სხვა ეროვნებათა სკოლებს. მის შემდეგ მინისტრის ამხანაგმა დაასახელა დებულებანი, რომელთა განხორციელება მიზნათ დაუსახავს უწყებას; 1) რესპუბლიკის მოქალაქე ვალდებულია დაათავოს 8 წლიანი დაწყებითი სასწავლებელი, 2) დაწყებითი სკოლა ორ საფეხურიანია პირველი ოთხი საბავშო ბაღების და მეორე ოთხი ზოგადი განათლების სახით, 3) სასწავლო გეგმების დამუშავება, 4) საბ. სკოლის გათავების შემდეგ საშუალო სასწავლებელში გადასვლა 5) საშუალო სკოლის დიფერენციაცია, ზოგადი და პროფესიონალური, 6) ზოგადი საშუალო სასწავლებლის კურსი ოთხ წლიანია, 7) სახალხო მასწავლებელთა მოსამზადებლად არსდება საპედაგ. ინსტიტუტი უნივერსიტეტთან. 9) სკოლებს მართვა-გამგეობის საკითხის მოგვარება. ყველა ზემოხსენებულ დებულებების შესახებ იყო შეკითხვები, რომელთა ახსნა განმარტებამ საკმაოდ დააკმაყოფილა კრება და ტაშით დააჯილდოვეს მინისტრის ამხანაგი. ამის შემდეგ დაიწყო მოხსენებები ადგილებიდან.

ნოდო.

## წერ. რედ. მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ წერილს თქვენს გაზეთში. თქვენი გაზეთის № 59-ში მოთავსებულია წერილი ქვედა აჭარიდან და ეხება ჩემ პიროვნებას, თითქოს მე კოოპერატივის გამგე კერძო კომბინაციებს ვაწყობდე და საზოგადო საქმეს ვღალატობდე, ვაძლევდე სპეკულიანტებს რიგ-რიგობით სხვა და სხვა საქონელს. მე მინდა მოვახსენო წერილის ავტორს: მას რომ აინტერესებდეს სიმართლე და საქმის ნამდვილი ვითარება ის მომმართავდა და ერთხელ მაინც შემეკითხებოდა, მართალია თუ არა, რომ მე პარტიობით უშვებ საქონელს. ბატ. ავტორს რომ მოემართა ჩემთვის, ის დარწმუნდებოდა სიმართლეში და არც იკისრებდა ასეთ ბრალდებას.

მე მქონდა 10 ფუთამდე შაქარი, რომლითაც ვაჭრობდი ორი თვის განმავლობაში რაც იწერება წიგნებში და რაც დამიმოწმა ინსტრუქტორმა, რომელმაც წინადადება მომცა რომ ასევე გამეგრძელა. და ვისაც ამაში თვით დარწმუნება სურს მან გასინჯოს დავთარი. წიგნ № 133. რაც შეეხება პაპიროსის-ქაღალდს სულ მივიღე 30 კოლოფი ამ ანგარიში № 3322 რომლიდგანაც თქვენ თვითონ გაქვთ წაღებული 3 კოლოფი და დანარჩენს კი ვიყიდე ეს თვენახევარია, რასაც შეამოწმებს იგივე დავთარი. ლაპარაკობთ კიდევ სანთლის შესახებ. სანთელი მივიღე 12 ფუთი და 39 გირვანქა კვიტანცია № 63 საქონლის აწერის დროს აღმოჩნდა გაყიდული 1 ფუთი და დარჩა გაუყიდავი 11 ფუთზე მეტი ამავე შეამოწმებს ინსტრუქტორი და ის დავთარი რომელშიც სწერია დარჩენილი საქონელი რაოდენობა 9 იანვრამდე. რაც შეეხება სხვა საქონელს: ჩაი ასანთი ბრინჯი ლუ[illegible]სმანი და კიდევ სხვა ყველა ეს საქონელი დარჩა გაუყიდავი 80 პროცენტი რასაც შეამოწმებს ისევ დავთარი. სხვა წვრიმალზე მე არას ვიტყვი რადგან მისი აქ მოხსენება გაზეთის ფურცლების შეურაცყოფად მიმაჩნია.

თქვენ აცხადებდით, რომ კოოპერატივში ბოროტებაა გამეფებული მაგრამ რევიზიამ ეს ბოროტება ვერ დაინახა და მან მიმითითა მხოლოდ ზოგიერთ შეცდომებზე საქმის წარმოებაში რაც ბოროტებათ არ ჩაითვლება. ამის მოწმეთ ვასახელებ თვით ბათომის კანტორის გამგე ბ-ნ მ[illegible]თობლიშვილს. და თუ ძალიან გაინტერესებთ დავასახელებ ამ ბოროტებასაც ეს არის ბ-ნ მევრელიშვილის თხოვნით რომ გადანახული ფართალი და 5 გირვანქა ფეხსაცმლების საძირე.

თქვენ ამბობთ კიდევ, რომ კომუნისტებში მიცნობენ ეს გაკვირი არავისთვის არ უნდა იყოს რადგან მე მათთან მიხდებოდა მუშაობა მთელი ხუთი წლის განმავლობაში პროფესიო კავშირებში და მათ კონფერენციაზე ყრილობებში და სხვა რაც დასამალი არაა.

ვორონინის საქმეზე თქვენზე ჯობსი იქნებოდა გაჩერება. და ეს გამოირკვეს პარტიულ სასამართლოში. ესევე სასამართლო მოაჩენს ჩვენს პიროვნებებს, ვთხოვ ბათომის ს. ს. დ. მ. პ. კომიტეტს რომ მოაწყოს ამხანაგური სასამართლო ჩვენს გასამართლებლად [illegible]დათ გეძლევათ ერთი კვირა დღიდან ამ პასუხის გაზეთში გამოქვეყნებისა.

ქედის კოოპერატივის გამგე

ხ. ძოსაშვილი

რედაქტორი ქ. ჟაფთარაძე

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ
ყოველდღიურ გაზ.
„ბათომის ცხოვრებაზე“
თვიური ფასი ქალაქში 800 მან. ქალაქ გარეთ 1200 მან.
მუშა მოსამსახურეთათვის და მასწავლებელთათვის ფას დაკლებით.
ხელ მოწერა მიიღება მარინეს პროსპექტზე საბაშვილის სახლში,
მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.
მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.

ქართული ენის მასწავლებელი-ეკონომისტი ჰ კ ი ს რ უ ლ ო ბ ს
საბუთის ქაღალდების, წესდებების, კანონპროექტების და მოხსენებების
რუსულიდან ქართულად გადათარგმნას.
მგიევე ასწორებს ენასა და სტილს (მოთხრობები, სახელმძღვანელოები და სხვ.)
იისამართი: სახელმწიფო ბანკი (დონდუკოვ-კორსაკოვის ქ. № 8) სა[illegible]
4—7½ სათ. ბ. ზოიძე.
(3—1) 4—2—15.

ელექტრო მბეჭდავი სტამბა ნ. ვ. შმაევსკისა, მიხაილოვის, ქ. №21 ბათუმი.